მემორანდუმი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ-გარემოს ეროვნული სააგენტოს შორის თანამშრომლობის შესახებ

ერთი მხრივ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი (შემდგომში - „ინსტიტუტი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **მიხეილ ფიფიას** სახით და მეორე მხრივ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო") წარმოდგენილი მისი უფროსის **ელენე ღუბიანურის** სახით, თანხმდებიან რა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო სფეროში ერთობლივი თანამშრომლობის, ერთობლივი პროექტების განხორციელების საჭიროების შესახებ, აფორმებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1.

მემორანდუმის მიზანია ხელი შეუწყოს მხარეებს შორის თანამშრომლობას ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების, პროგნოზების, მონაცემთა გაცვლის, კვლევისა და საზოგადოებრივი სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების მიმართულებით.

მუხლი 2.

მხარეები შეთანხმდნენ ითანამშრომლონ შემდეგ სფეროებში:

2.1.ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების გაცვლა და გამოყენება;
2.2. ერთობლივი კვლევითი და სამეცნიერო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
2.3. კადრების მომზადება, გადამზადება და გამოცდილების გაზიარება;
2.4.ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, ტრენინგებისა და კონფერენციების ორგანიზება;
2.5.ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირებისა და რისკების მართვის მიმართულებით თანამშრომლობა;
2.6.კლიმატური ცვლილებების დაკვირვება და მათზე რეაგირების ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება.
2.7.ერთობლივი საქმიანობა მოიცავს ჰიდროლოგიის, მეტეოროლოგიის, აგრომეტეოროლოგიის, ოკეანოლოგიის, გეომორფოლოგიის და გეოგრაფიის სფეროებს.

მუხლი 3.

3.1. სააგენტო შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს საველე-საექსპედიციო სამუშაოების გავლისას საჭიროების შემთხვევაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობას.
3.2. ინსტიტუტი უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებისას გამოცდილების გაზიარებასა და საჭიროების შემთხვევაში სამეცნიერო - მეთოდური კონსულტაციის გაწევას.
3.3. ინსტიტუტი და სააგენტო იღებენ ვალდებულებას, რომ თანამშრომლობა წარიმართოს ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით და შესაძლებლობების ფარგლებში;
3.4. ინფორმაცია, რომელიც ინსტიტუტს და სააგენტოს შორის გაიცვლება, გამოყენებული იქნება მხოლოდ შეთანხმებული მიზნებისათვის.

მუხლი 4.

4.1. თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და სფეროები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ცალკე შეთანხმებით.
4.2. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული კონკრეტული აქტივობების განხორციელება განისაზღვრება დამატებითი წერილობითი მხარეთა შორის შეთანხმებით და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 5.

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილ წარმოადგენს.

მუხლი 6.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 7.

7.1. მემორანდუმი არ წარმოშობს მონაწილეთა შორის, რაიმე ფინანსურ ან სამართლებრივ ვალდებულებას, იგი მოქმედებას იწყებს ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2027 წლის პირველ იანვრამდე.
7.2.მემორანდუმი ამავე პირობებით გაგრძელდება ერთი წლის ვადით, თუ ამ მემორანდუმის ვადის გასვლიდან ერთი თვით ადრე მხარეები წერილობით არ შეთანხმდებიან წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ურთიერთთანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ.
7.3. წინამდებარე მემორანდუმის მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი ფორმით წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ინფორმირების გზით.

მუხლი 8.

8.1. მემორანდუმი არ წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებას, მაგრამ ასახავს მხარეთა კეთილ ნებას თანამშრომლობის მიმართ;
8.2. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი
----------	----------
ელენე ღუბიანური	*მიხეილ ფიფია*

ხელმოწერის თარიღი: 17.12.2025 წელი